



საბანკო სექტორის ჩართულობა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში

რეზიუმე

სალომე ქურასბედიაძე

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: salome_qurasbediani@mail.ru

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და საერთაშორისო გადარიცხვებზე მოთხოვნის გაჩენის პარალელურად, საბანკო სექტორში გაიზარდა არალეგალური და საექვო ტრანზაქციების რიცხვი, რამაც აუცილებელი გახადა საბანკო ზედამხედველობის და მონიტორინგის სამსახურების ჩამოყალიბება.

სტატიაში ფინანსური დანაშაულის და თაღლითობის გახშირების მიზეზების ანალიზის საფუძველზე განხილულია საბანკო სექტორის როლი და ჩართულობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ფულის გათეთრების საქმეში.

შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებაში ბანკების შესაძლო გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, ძალზე მნიშვნელოვანია ბანკის მიერ „იცნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკის გათვითცნობიერება და პრაქტიკაში გატარება, რაც თავის მხრივ გულისხმობს მისი კლიენტების და მათი საქმიანობის შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შესწავლას.

საკვანძო სიტყვები: ფულის გათეთრება, საბანკო ზედამხედველობა, ფინანსური მონიტორინგი, არალეგალური შემოსავლები, საექვო ტრანზაქცია.

ბოლო წლებში ფინანსური დანაშაულის გახშირებამ და თაღლითობის ფაქტებმა კიდევ უფრო აქტიური გახადა ბანკების ჩართულობა ფინანსური დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ფულადი სახსრების ძირითადი ფინანსური გამტარი ბანკები და ფინანსური ინსტიტუტებია.

ბანკების რეპუტაციისა და სტაბილურობისთვის საერთაშორისო ბაზარზე ფულის გათეთრების და ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა უმნიშვნელოვანესი ელემენტია, ვინაიდან მსოფლიოსთვის დღეს ტერორიზმის დაფინანსებასა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლა ყველაზე მტკივნეული საკითხია.

მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციამ და საერთაშორისო გადარიცხვების სიმრავლემ განაპირობა ბანკების დაუცველობა ამ კუთხით, გაიზარდა კიბერდანაშაულის და ფულის გათეთრების მცდელობის რიცხვი, რამაც აუცილებელი გახადა შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების შექმნა.

სოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის კვალდაკვალ მთავრობებმა გააძლიერეს ფინანსური მონიტორინგის სისტემები, რაშიც კომერციული ბანკებიც აქტიურად ჩაერთვნენ.

ცენტრალური ბანკების და ფინანსური მონიტორინგის სამსახურების მიერ აქტიურად ხდება ინსტრუქციების გაცემა და სტანდარტული სამოქმედო გეგმის განსაზღვრა მათ დაქვემდებარებაში არსებულ საფინანსო დაწესებულებებზე, არალეგალური შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის და თაღლითობის აღმოფხვრის მიმართულებით.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ეროვნული ბანკი წარმოადგენს საზედამხედველო ორგანოს საქართველოში, რომლის ფუნქციაა ზედამხედველობას დაქვემდებარებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმება. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად წარმოადგენს რომელიმე კონკრეტული ფაქტი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, აღნიშნული



კვალიფიკაციის მინიჭება სცილდება ეროვნული ბანკის კომპეტენციას.

ეროვნული ბანკი, დისტანციური ზედამხედველობის და ადგილზე ინსპექტირების გზით, სისტემატურად ამოწმებს დაქვემდებარებული სუბიექტების შიგა კონტროლის სისტემის სტანდარტებთან შესაბამისობას. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ან/და დანაშაულის ნიშნების შემცველი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, კანონმდებლობის შესაბამისად, ინფორმაცია მიეწოდება შესაბამის სტრუქტურებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ფინანსური სექტორის სტაბილურობის გარანტი, თავის საქმიანობას წარმართავს კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ამასთანავე, საფინანსო ინსტიტუტებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის კუთხით ეროვნული ბანკის ზედამხედველობა დადებითად არის შეფასებული ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) მიერ.

მსოფლიოში არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა ჩამოყალიბებული ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების მხარდასაჭერად. ერთ-ერთი მათგანია FATF (Financial Action Task Force), რომლის სტანდარტითაც მოქმედებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები, რომლების ახორციელებენ საერთაშორისო გადარიცხვებს, ჩართული არიან მსოფლიო ბანკის და ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ პროექტში - „იცნობდე შენს კლიენტს“. თითოეული მათგანი ყოველდღიურად აუმაჯობებს მომსახურების სისტემას რომელიც უზრუნველყოფს KYC (Know your Customer) და AML (Anti Money Laundering) მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ბანკების წარმატებულად ფუნქციონირების მათ შორის ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებაში მისი შესაძლო გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, ძალზე მნიშვნელოვანია ბანკის მიერ „იცნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკის გათვითცნობიერება და პრაქტიკაში გატარება, რაც თავის მხრივ გულისხმობს მისი კლიენტების და მათი საქმიანობის შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შესწავლას.

ბანკების პოლიტიკა „იცნობდე შენს კლიენტს“ მნიშვნელოვანია ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის ინფორმაციის მოსაპოვებლად. ბანკი ამ შემთხვევაში ინფორმაციის პირველწყაროდ

გამოდის. რაც უფრო ნათელი და მკაფიოა ინფორმაცია სუბიექტის და ტრანზაქციის შესახებ, მით უფრო მცირეა თაღლითობის რისკი.

ევექტური „იცნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკის შემუშავებისას ძალზე მნიშვნელოვანია ბანკი აცნობიერებდეს, რომ კლიენტის გარეგნულმა მხარემ და ზედაპირულმა გაცნობამ შეიძლება მისი შეფასებისას შეცდომა გამოიწვიოს. ამასთანავე, ბანკმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სათანადო დონეზე გაკეთებული ანალიზისა და შეფასების გარეშე, კლიენტების საქმიანობის კრიმინალური ელფერის მატარებლად მიჩნევის შემთხვევაში, კეთილსინდისიერმა და კანონიერად მოქმედმა კლიენტებმა შესაძლოა ზურგი შეაქციონ ბანკს.

თითქმის ყველა საფინანსო ორგანიზაციას აქვს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მოქმედი განყოფილება, რომელიც პერმანენტულად აკვირდება სისტემაში განხორციელებულ ტრანზაქციებს, აზუსტებს თანხების წარმომავლობას ინფორმაციის პირველწყაროსთან, იკვლევს მომხმარებლების ფინანსურ ისტორიას ე.წ. შავი სიების მონაცემების საფუძველზე და შეზღუდვებს უწესებს საეჭვო ზონებს მიკუთვნებულ სუბიექტებს ტრანზაქციების განხორციელებაში.

ბანკების უმეტესობა ზედმიწევნით ცდილობს შეასრულოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ დაწესებული მოთხოვნები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოთხოვნები და წესები მუდმივად იხვეწება, ხოლო ფინანსური ინსტიტუტები და ბანკები ვალდებული არიან აითვისონ და შეასრულონ ისინი.

საქართველოში მოქმედი წამყვანი ბანკების მონაცემებით, შეზღუდვებია დაწესებული ანგარიშების გახსნა/ოპერაციების წარმოებაზე სანქცირებული ქვეყნებისთვის, როგორიცაა ირანი, სირია, ლიბია და ჩრდილოეთ კორეა. თითოეული მომხმარებლის მომსახურება ხდება საერთაშორისო სტანდარტის დაცვით, მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაციის საფუძველზე. ბანკები ამ საკითხში სარგებლობენ „კონტროლიორის კონტროლის“ პრინციპით. ფრონტ ოფისის თანამშრომლის მიერ პირველწყაროდან/კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია ტრანზაქციის შესრულებამდე შემოწმების მიზნით გადის სხვადასხვა განყოფილებას. გარდა ამისა, საფინანსო სექტორის მიერ მოპოვებული ინფორმაცია თავის მხრივ მოწმდება საქართველოს ეროვნული ბანკის და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ. ბანკების მხრიდან მუდმივივად ხდება ინფორმაციის მიწოდება მონიტორინგის სამსახურებისთვის. ნებისმიერი ტრანზაქცია,



რომელზეც ვერ ხერხდება შესაბამისი ინფორმაციის მოძიება, ექვემდებარება გაუქმებას.

ბანკები ინფორმაციული კუთხით აქტიურად თანამშრომლობენ სახელმწიფო სექტორთან დანაშაულის პრევენციის მიზნით, თუმცა ამასთანავე ცდილობენ დაიცვან მომხმარებლის უფლებებიც, რაც ფინანსური/პირადი ინფორმაციის მესამე პირზე გაცემას ზღუდავს.

კომერციული ბანკები მუდმივად ცდილობენ დახვეწონ ტექნოლოგიები და „ჭკვიანი პროგრამების“ დახმარებით მუდმივად აკონტროლონ ტრანზაქციების შესაბამისობა ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და საქართველოს ერო-

ვნული ბანკის მოთხოვნებთან, ვინაიდან არალეგალური ტრანზაქციები გარდა ფინანსური სანქციისა რეპუტაციული რისკის საშიშროებასაც უქმნის ბანკს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სუბიექტური ფაქტორები, როგორიცაა შესაბამისი თანამშრომლების კომპეტენტურობისა და ინფორმირებულობის პრობლემა, ზოგჯერ არასწორი საბანკო ოპერაციების წარმოების მიზეზი ხდება, თუმცა ტექნოლოგიების განვითარების ხარისხი უზრუნველყოფს საბანკო სისტემაში არალეგალური ტრანზაქციის მაქსიმალურად სწრაფ აღმოჩენას და აღმოფხვრას.

ლიტერატურა

1. Breslow S., Hagstroem M., Mikkelsen D., Robu K. 2017. The new frontier in anti-money laundering. McKinsey&Company. <https://www.mckinsey.com/business-functions/risk/our-insights/the-new-frontier-in-anti-money-laundering>
2. Stumbauer S. 2017. Five steps for anti-money-laundering compliance in 2017. International Banker. <https://internationalbanker.com/finance/five-steps-anti-money-laundering-compliance-2017>
3. საქართველოს ეროვნული ბანკი. www.nbg.gov.ge
4. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური. www.fms.gov.ge
5. Masciandaro D. 2009. Money Laundering: the Economics of Regulation. European Journal of Law and Economics, N7. pp. 225-240.
6. McDowell J., Novis G. 2006. The Consequences of Money Laundering and Financial Crime. Economic Perspectives. Vol. 6. N2. pp. 6-9.
7. Council of Europe. Committee of Experts on the Evaluation of Anti-Money Laundering Measures and the Financing of Terrorism. <https://www.coe.int>
8. European Bank for Reconstruction and Development. 2008. EBRD Regional AML Training Seminar. Tbilisi, Georgia.

INVOLVING THE BANKING SECTOR IN COMBATING MONEY LAUNDERING

SALOME KURASBEDIANI

PhD student, GTU

E-mail: salome_kurasbediani@mail.ru

Summary

Simultaneously with the transition to a market economy and the demand for international transfers, in the banking sector has increased the number of illegal and suspicious transactions. This required the creation of banking supervision.

The article describes the role and involvement of the banking sector in legalizing illegal income and money laundering based on the analysis of the causes of financial crime and fraud.

As a result, we came to the conclusion that in order to avoid the possible use of banks in money laundering and terrorist financing, it is very important for the bank to understand and apply the policy of “know its client”, which in turn requires maximum study of its clients and their activities.

Keywords: Money laundering, Banking supervision, Financial monitoring, Illegal income, Suspicious transaction.